პროექტი

დადგენილება N

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის (საჯარო/ელექტრონული) ფორმით პრივატიზებისას ბიჯის სიდიდისა და საჯარო აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასის ოდენობის განსაზღვრის შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 20 მარტის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობების დეპარტამენტის ზედამხედველობის სამსახურის N27344 სამართლებრივი დასკვნის (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 20 მარტის N15 დადგენილებაზე) საფუძველზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. ცვლილება შევიდეს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის (საჯარო/ელექტრონული) ფორმით პრივატიზებისას ბიჯის სიდიდისა და საჯარო აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასის ოდენობის განსაზღვრის შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 20 მარტის N15 დადგენილებაში(საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი:25/03/2015, სარეგისტრაციო კოდი 010250000.35.114.016256) და დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზებისას საჯარო აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასის ოდენობის განსაზღვრის შესახებ".

მუხლი 2. ცვლილება შევიდეს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის (საჯარო/ელექტრონული) ფორმით პრივატიზებისას ბიჯის სიდიდისა და საჯარო აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასის ოდენობის განსაზღვრის შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 20 მარტის N15 დადგენილების პრეამბულაში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და

ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:“

3. ცვლილება შევიდეს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის (საჯარო/ელექტრონული) ფორმით პრივატიზებისას ბიჯის სიდიდისა და საჯარო აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 20 მარტის N15 დადგენილებაში და ამოღებულ იქნეს დადგენილების პირველი მუხლი.

მუხლი 2 დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პროექტის ავტორი - მარინე ბერაძე